

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის

საქმიანობის ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2021 წლის იანვარი-დეკემბერი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

- ა) ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მართვა;
- ბ) უწყვეტი განათლება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მართვის მიმართულებით ცენტრის მიზნებია:

- ა) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნაში მონაწილეობის მიღება;
- ბ) ინდივიდის პროფესიული განვითარების, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების საფუძველზე, ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ 2020 წლის 5 თებერვალს დაამტკიცა „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“, ხოლო ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ 2020 წლის 12 მარტის №06-01/23 დადგენილებით დაამტკიცა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა. აღნიშნული სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე შემუშავდა და დამტკიცდა ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2021 წელი).

წარმოგიდგენთ პროფესიული განათლების მიმართულებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების ერთწლიანი (2021 წელი)

გეგმის შესრულების მიზნით ცენტრის კოორდინაციით განხორციელებულ აქტივობებს:

სტრატეგიული მიზანი N 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება

საანგარიშო პერიოდში ბსუ ახორციელებდა 14 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. აღნიშნული პროგრამების ნაწილი პროფესიული ჩარჩო დოკუმენტების გაუქმების გამო ხორციელდება მიღევად რეჟიმში. 2021 წლის განმავლობაში 6 პროგრამის 160 სტუდენტმა დაასრულა სწავლა, ხოლო 6 ახალ პროგრამაზე 2021 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად ჩაირიცხა 90 პროფესიული სტუდენტი. ამჟამად 11 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 196 პროფესიული სტუდენტი ირიცხება.

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის ახალი წესი. საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით გარკვეული ცვლილებები და დამატებები შევიდა პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს სამართლებრივ აქტებში; აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცესში გამოყენებული იქნა მრავალფეროვანი მექანიზმები, რაც, პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, სტუდენტთა შერჩევა-შეფასების მიმართულებით გაცილებით მოქნილ მიდგომებს ითვალისწინებდა.

ბსუ წლების განმავლობაში ახორციელებდა პრაქტიკოსი ექთნის, ფარმაცევტის, ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. აღნიშნული პროგრამების პროფესიული ჩარჩო დოკუმენტების ცვლილების გამო დღის წესრიგში დადგა ახალი პროგრამების („საექთნო განათლება“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“, „აღმზრდელი“) შემუშავება/დამატების საკითხი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ახალი პროგრამების დამატებისათვის საჭირო სამუშაოები. კერძოდ, ჩატარდა ბაზრის კვლევა, შეიქმნა პროგრამაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფები და მოხდა ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე პროგრამების მოდიფიცირება, შეფასდა პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი და შემუშავდა რეკომენდაციები.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების მიზნით ჩატარდა კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა. სისტემატიურად ტარდებოდა შეხვედრები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან სწავლებისა და სწავლის პროცესში სიახლეების დანერგვის საჭიროებების დადგენის მიზნით.

მუდმივად ხორციელდებოდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი, მათ შორის პრაქტიკის ობიექტებზე.

ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის კოორდინირებით განხორციელდა შეფასების შიდა ვერიფიკაციის პროცესი.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა პროფესიული მომზადების პროგრამა „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“. 2021 წლის შემოდგომაზე პროგრამაზე ჩაირიცხა 20 მსმენელი.

2021 წელს გაეროს განვითარების პროგრამამ გამოაცხადა საგრანტო კონკურსი, რომლის მიზანი იყო საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ხელშეწყობა სხვადასხვა მიამრთულებით. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC) ხელს უწყობენ პროფესიული გადამზადებისა და ექსტენციის თანამედროვე სისტემების დანერგვას საქართველოს სოფლის მეურნეობაში. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის შედეგად ბსუ-მ მოიპოვა პროექტის „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლებისა და ტრენინგის (VET) სისტემის მოდერნიზაცია (VET ფაზა 2; Project N 00102163) განხორციელების უფლება.

პროექტის მიზანია პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების კუთხით ბსუ-ს როლის გაზრდა. კერძოდ, პროექტის ფარგლებში დაიგეგმა კომპანიის ინსტრუქტორის მოკლევადიანი გადამზადების პროგრამის შემუშავება, პროგრამის პილოტირება. გრძელვადიან პერსპექტივაში კი იგეგმება პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაინტერესებული მხარეებისთვის შეთავაზება. პროექტის ხანგრძლივობაა 9 თვე - 2021 წლის 1

ოქტომბრიდან 2022 წლის 31 ივლისის ჩათვლით. საანგარიშო პერიოდში მოხდა მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „**პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების ინსტრუქტორების უნარების განვითარება**“ შემუშავება, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მოხდა სასწავლო რესურსისა და აღჭურვილობის შეძენა.

2021 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და **სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციას (CELA)** შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტი მიზნად ისახავს ბსუ-ს საბაკალავრო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების სამოქალაქო განათლების სწავლების ხელშეწყობას და სტუდენტების ჩართულობას ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში. მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობა ასევე განხორციელდება სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამის დანერგვის, მონიტორინგისა და შეფასების, სამოქალაქო განათლების ლექტორთა პროფესიული განვითარებისა და სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობების მიმართულებით.

2021 წლის შემოდგომიდან **ჯარას თაფლის წარმოების სწავლება, „მეფუტკრეობის“ მოქმედ პროგრამაში ინტეგრირებულად დაიწყო**. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში „მეფუტკრეობის“ პროგრამაში **ჯარას მეფუტკრეობის სწავლების ინტეგრირებას** მხარს უჭერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და დარგობრივი უნარების ორგანიზაცია „აგრო დუო“.

ცვლილებები განხორციელდა რიგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში (ქართული ენის მოდულები, სამოქალაქო განათლება, მოდულების წინაპირობები და სხვა).

პროექტის „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების“ ფარგლებში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა **"საგანმანათლებლო შესაძლებლობები აგრარულ პროფესიულ განათლებაში"**. შეხვედრის მიზანი იყო პროექტის "სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების" ფარგლებში, სხვადასხვა საგანმანათლებლო შესაძლებლობებთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა და საჯარო-კერძო

პარტნიორობის შესახებ საგანმანათლებლო სერვისების შეთავაზება აგრარული მიმართულებით. პროექტი „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება“ ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (MOES) მხარდაჭერით, დარგობრივი უნარების ორგანიზაცია „აგრო დუოს“ მონაწილეობითა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) კოორდინაციით.

სტრატეგიული მიზანი N 2: პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერა და სტუდენტური სერვისების განვითარება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის სამსახურის წარმომადგენლები, ცენტრის პერსონალი, პროგრამების ხელმძღვანელები ატარებდნენ შეხვედრებს პროფესიული განათლების სტუდენტებთან. პანდემიის გამო ვერ მოხერხდა პროფესიულ სტუდენტებთან აქტიური თანამშრომლობა და დამატებითი აქტივობების (კურიკულუმის გარეშე) წახალისებისა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმების შექმნა. ასევე ვერ მოხდა პროფესიული სტუდენტების ბსუ-ს სტუდენტურ პორტალზე ინტეგრირება.

2021 წლის განმავლობაში სასწავლო პროცესი წარიმართა ჰიბრიდული ფორმატით (როგორც პირისპირ, ისე დისტანციურად), რაც ცენტრისთვის გარკვეული გამოწვევა იყო. ცვლილება შევიდა საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში, დისტანციურად წარიმართა მხოლოდ თეორიული მოდულები. ჩატარდა შეხვედრები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ტექნიკური საშუალებების ფლობის, ინტერნეტის, Zoom ელექტრონული პლატფორმის გამოყენების საჭიროებებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ყველა მასწავლებლისა და სტუდენტისათვის შეიქმნა ბსუ-ს კორპორაციული ელექტრონული ფოსტა და დაიგზავნა Zoom პლატფორმის გამოყენების ინსტრუქცია.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პროექტის „ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების გაძლიერება“ (LINKS) ფარგლებში, ხელი მოაწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც

მხარეებს შორის აქტიური თანამშრომლობით, ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დასაქმებას აჭარის რეგიონში.

საანგარიშო პერიოდი დასრულდა ახალი სასწავლო კორპუსის მოწყობა, რომელიც მორგებულია პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე და აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტს.

სტრატეგიული მიზანი N 3: პერსონალის განვითარების ხელშეწყობა

ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი სისტემატიურად ახორციელებდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ცენტრის პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას; უტარებდა საჭიროებებზე მორგებულ ტრენინგებს პროფესიული განათლების მასწავლებლებს და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან ერთად უზრუნველყოფდა სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას.

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორმა, ხარისხის მართვის მენეჯერმა და ხარისხის მართვის კოორდინატორმა მონაწილეობა მიიღეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებულ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლების ტრენინგში. ტრენინგის მიზანს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების შეფასების მიდგომების გაცნობა და შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხების გაცნობიერება წარმოადგენდა.

საანგარიშო პერიოდში ბსუ „ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციასთან“ (HRPA) ერთად (ბენეფიციარის როლში) ჩაერთო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერილ და დაფინანსებულ პროექტში „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერა HR&OD სისტემების ხარისხის ამაღლებით“. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში პროფესიული კოლეჯების ინსტიტუციურ გაძლიერებას, მათი ორგანიზაციული და HR სისტემების გაძლიერებით, რომ შეძლონ

ავტორიზაციის სტანდარტის მე-4 კომპონენტის დანერგვა და ავტორიზაციისთვის საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილება. პროექტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, შეიქმნას HR&OD დოკუმენტების პაკეტი სწორედ მე-4 კომპონენტის შესაბამისად, რომელთა იდენტიფიცირების მიზნით ჩატარდა დიაგნოსტიკის კვლევა ფოკუს-ჯგუფებისა და ექსპერტთა ინტერვიუების მეთოდების გამოყენებით. პროექტის საწყის ეტაპზე „ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის“ (HRPA) მიერ შემუშავდა დოკუმენტების პაკეტი, რომელიც აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის მე-4 კომპონენტის მოთხოვნებს. შემუშავებული დოკუმენტების სამუშაო ვარიანტების განხილვის მიზნით 2021 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა ვორქშოფები ბენეფიციარი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებისთვის.

„ERASMUS+“-ის საგრანტო პროექტის „სწავლების ოპტიმიზაცია და აკადემიური ინკლუზია დისტანციური სწავლებისა და სწავლის გამოყენებით“ (Learning Optimization and Academic Inclusion Via Equitative Distance Teaching and Learning - Love Distance) ეგიდით, ერასმუსის საინფორმაციო დღეების ფარგლებში ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ტრენინგებისთვის ჩატარდა ვორქშოფი. ვორქშოფის მიზანი პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სიახლეების, ონლაინ ტრენინგების დაგეგმვა-ჩატარების, დისტანციური ტრენინგების ჩაწერის მეთოდოლოგიის და ტექნიკური დეტალების გაცნობა იყო. ვორქშოფი პროექტ Love Distance-ს ბსუ-ს გუნდის ორგანიზებით ჩატარდა და მასში ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოქმედი ტრენინგები მონაწილეობდნენ. პროექტის წევრებმა ვორქშოფის მონაწილეებს იმ პროგრამებისა და ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენების დეტალები გააცნეს, რომლებიც პროექტის ფარგლებში ბსუ-მ შეიძინა. ტრენინგების მიერ დაიგეგმა დისტანციური ტრენინგ-კურსების მომზადება, რაც დაფუძნებული იქნება საჭიროებების კვლევების შედეგებზე.

ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლებს ტრენინგები ჩაუტარდათ „ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების გაძლიერების

პროექტის“ (LINKS) ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. ტრენინგები სამ ეტაპად ჩატარდა შემდეგ თემებზე: „სწავლების მეთოდები და სწავლების ეფექტურობის გაზრდა“ (28-29.06.2021), „ეფექტური კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები“ (13-14.09.2021) და „პროექტების მართვის და საპროექტო განაცხადის შედგენა“ (11-12.11.2021). ტრენინგების დასრულების შემდეგ მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ. პროექტი LINKS-ი ევროკავშირის „განათლება დასაქმებისთვის“ (Skills4Jobs) პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და მიზნად ისახავს ცოდნის და უნარების განვითარებისა და დასაქმების ხელშემწყობი პლატფორმების, რესურსებისა და ღონისძიებების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გაზრდას ოთხ რეგიონში: აჭარა, გურია, შიდა ქართლი და ქვემო ქართლი. აჭარის რეგიონიდან პროექტში პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი 4 დაწესებულებაა ჩართული: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია კოლეჯები „ბლექსი“ და „ახალი ტალღა“.

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა **ჯარას თაფლის წარმოების ტრენერთა ტრენინგში** მიიღო მონაწილეობა. ტრენინგი საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანებისა და ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციის ორგანიზებით პროფესიული სასწავლებლების მეფუტკრე-მასწავლებლებისთვის გაიმართა. ტრენინგზე მიღებული ცოდნის გაზიარების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელმა ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ერთდღიანი **ტრენინგი ჩაატარა.**

ბსუ-ს ოფიციალური ვიზიტით სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის რეგიონული დირექტორი **დანიელ მეული და გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ანა ჩერნიშოვა** ეწვივნენ. ღონისძიების ფარგლებში შეხვედრა ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან და მოეწყო **ვორქშოფი** თემაზე: „COVID-19 პანდემიის ზეგავლენა პროფესიული

განათლების ინსტიტუტებსა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროგრამების განხორციელებაზე“.

ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „კომუნიკაცია პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის“.

ცენტრის პერსონალმა მონაწილეობა მიიღო გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „შრომის უსაფრთხოების დაცვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში“.

ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლები მონაწილეობდნენ გაეროს განვითარების საგრანტო პროექტის „კვლევის ორგანიზება პროცესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ციფრული საჭიროებების მიმართულებით“ ფარგლებში ორგანიზებულ კვლევებში.

სტრატეგიული მიზანი N 4: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური, ისე საინფორმაციო და ფინანსური რესურსებით. საანგარიშო პერიოდში პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო კორპუსი მოეწყო თანამედროვე სტანდარტებით: შენობა ადაპტირებულია, კეთილმოწყობილია, აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით.

ცენტრმა კოორდინაცია გაუწია ლეონიძის N 15-ში მდებარე სასწავლო კორპუსში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (საფინანსო სერვისები; ბუღალტრული აღრიცხვა; მებაღეობა; სატყეო საქმე; საბიბლიოთეკო საქმე) განხორციელების უფლების მოპოვების პროცედურას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭომ განიხილა და დადებითად გადაწყდა ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის („სატყეო საქმე“ და „მებაღეობა“) ფართის ცვლილების საკითხი. დანარჩენი პროგრამების ფართის ცვლილების საკითხზე საქმისწარმოების პროცესი ჯერ არ დასრულებულა. საანგარიშო პერიოდში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

დამატებით შექმნილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა; ცალკე მოეწყო ცენტრის ბიბლიოთეკა, რომელიც აღიჭურვა სკანერით, პრინტერით და კომპიუტერებით. საანგარიშო პერიოდში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ლიტერატურა გაციფრულდა, ბიბლიოთეკა ჩაერთო საერთო საბიბლიოთეკო ქსელში და სტუდენტს აქვს საშუალება ცენტრის ბიბლიოთეკიდან ისარგებლოს ბსუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურით.

პანდემიის გამო გარკვეული შეზღუდვები შეიქმნა პროფორიენტაციასთან დაკავშირებით. დაგეგმილი მექანიზმებიდან მხოლოდ მასმედიის, ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის მეშვეობით მოხდა აპლიკანტთა მოზიდვა. პროგრამების პოპულარიზაციაში აქტიურად იყვნენ ჩართულები პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები.

საანგარიშო პერიოდში პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების სააგენტოს უმასპინძლა. შეხვედრა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების მოდერნიზაცია (ფაზა 2)“ ფარგლებში გაიმართა. სამუშაო შეხვედრაზე კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის სასწავლო მოდულის, კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი, დაბალემისიებიანი (კლიმატგონივრული) სოფლის მეურნეობის სახელმძღვანელოსა და სოფლის მეურნეობის დარგში, ცოდნისა და ინფორმაციის სისტემის მონაწილეებისთვის, ინფორმაციისა და ხარისხის სტანდარტის წარდგენა შედგა. შეხვედრის ფარგლებში, ცენტრის ბიბლიოთეკას გადაეცა აგრარული მიმართულების სამეცნიერო ლიტერატურა და პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოები.

საქართველოში ჯარას მეფუტკრეობის აღდგენა-გამლიერების მხარდამჭერის არასამთავრობო ორგანიზაცია მერსი ქორფსმა (Mercy Corps) ბსუ-ს მეფუტკრეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით ჯარას თაფლის აღჭურვილობა, ჯარას სკები, ფუტკრის ოჯახები და სასწავლო რესურსი გადასცა. ბსუ-ს დაფინანსებით მეფუტკრეობის სასწავლო რესურსის ბეჭდური სახით გამოიცა.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან ცენტრის კოორდინირებული მუშაობის შედეგად ბსუ-მ სახელმწიფო ბიუჯეტიდან **მოიპოვა დაფინანსება** ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (კომპიუტერული ქსელი და სისტემები, ელექტრობა, ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები) რესურსების შეძენის მიზნით. **ასევე სააგენტო ბსუ-თვის შეისყიდის კომპიუტერულ ტექნიკას.**

უწყვეტი განათლების მიმართულებით საანგარიშო პერიოდში ცენტრმა კოორდინაცია გაუწია შემდეგ აქტივობებს და მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების პროცესს:

1. შემუშავდა მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა **„საოფისე აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფა“**. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება (N02, 16.03.2021), რომელიც ითვალისწინებდა ბაღებში დასაქმებული 30 პერსონალის მიერ მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფა“ გავლას. პროგრამა განხორციელდა 2021 წლის 20 მარტიდან 13 აპრილის ჩათვლით (ტრენერი - მიხეილ დონაძე). მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსი გაიარა 30 მსმენელმა.
2. ERASMUS+ პროექტ MEDIATS-ის ფარგლებში შემუშავდა და განხორციელდა მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამა **„მედიაცია“**. პროგრამა შედგება 10 მოდულისაგან (სულ 250 საათი, საკონტაქტო 135 საათი, დამოუკიდებელი მუშაობისათვის 90 სთ).
3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საგრანტო ადმინისტრატორთან (RTI International) 2020 წლის 9 ივლისს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, მონაწილეობს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულ **„USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამაში“**. პროექტში ბსუ-ს მონაწილეობის მიზანია აჭარისა და გურიის რეგიონის სკოლებში მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომების დანერგვა. პროგრამის განხორციელების პირველი ეტაპი

განსაზღვრული იყო 2020 წლის 9 ივლისიდან 31 დეკემბრის, მეორე ეტაპი - 2021 წლის 8 თებერვლიდან 30 სექტემბრის პერიოდით, ხოლო მესამე ეტაპი კი მოიცავს - 2021 წლის 1 ოქტომბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდს. პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, პროგრამაში ჩართული 14 ტრენერის მიერ 2021 წლის მარტ-ივნისში (12 საათიანი) და ნოემბერ დეკემბერში (18 საათიანი) ტრენინგები და ვებინარები (2 საათიანი) ჩაუტარდა დაწყებითი საფეხურიდან შერჩეულ 978 ლიდერ მასწავლებელს. ვებინარები ჩაუტარდა ასევე აჭარისა და გურიის 326 საჯარო სკოლის დირექტორს. 2021 წლის განმავლობაში პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ ბსუ-დან შერჩეულმა ტრენერებმა განახორციელეს ონლაინ ქოუჩინგის პროცესი აჭარისა და გურიის 326 საჯარო სკოლაში, უწყვეტი კომუნიკაცია სკოლის დირექტორებთან მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების მუშაობის შესახებ ინფორმირებისა და ჩატარების შესახებ უკუკავშირის მიზნით, მასწავლებელთა საკომუნიკაციო ქსელების შექმნა, ტრენინგების ვიდეო-ვერსიების გადაღება-ჩაწერა, ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლების მოძიება და ბიზნეს-ლიდერებთან შეხვედრების ჩატარება „მომავლის თაობის ბანაკების“ ჩამოყალიბების მიზნით და ა. შ. პროგრამა 2022 წელსაც აგრძელებს მუშაობას.

4. ბსუ-მ მონაწილეობა მიიღო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციაში „განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება: მიღწევები და გამოწვევები“. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორმა, მადონა მიქელაძემ, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, თეა კორძაძემ და შპს კავკასიის უნივერსიტეტის ტრენინგ ცენტრის დირექტორის მოადგილემ, მაია მუშკუდიანმა სასერტიფიკატო და მოკლევადიან კურსების განხორციელების საკუთარ გამოცდილებაზე ისაუბრეს.